

შპს “ფალავანი“-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ასარჩევი

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....	3-4
საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5-6
საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-16

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნები	31-12-18	31-12-17
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	124,498	387,805
სავაჭრო მოთხოვნები	8	724,985	440,259
გადახდილი ავანსები		-	-
მარაგები	9	1,751,799	1,623,667
მზა პროდუქცია		195,478	31,088
სხვა		1,556,321	1,592,579
საინვესტიციო ქონება		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	10	42,046	42,523
ბიოლოგიური აქტივები		-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-
გადაფასების მოდელით		-	-
გუდვილი		-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	11	2,830	2,900
ძირითადი საშუალებები	11	797,874	773,932
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ აქტივები		3,444,032	3,271,085

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	12	455,512	298,904
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		76,800	41,400
საგადასახადო ვალდებულებები		(120,316)	(163,292)
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13	2,324,894	2,430,648
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-
მიღებული გრანტები		-	-
სხვა ვალდებულებები	14	1,084,320	855,802
სულ ვალდებულებები		3,821,210	3,463,462
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	15	75,814	75,814
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(452,992)	(268,191)
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		(377,178)	(192,377)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,444,032	3,271,085

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2018 წელი
ნეტო ამონაგები		2,403,795
საქონლის გაყიდვიდან	3	2,305,264
მომსახურების გაწევიდან	3	98,532
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-
სხვა		-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		1,499,190
საწყისი მარაგები		1,623,667
მარაგების შესყიდვა		1,562,752
გადამუშავების დანახარჯები	4	64,570
საბოლოო მარაგები		1,751,799
საერთო მოგება		904,606
სხვა შემოსავალი	5	4,610
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		(414,754)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(98,649)
საპროცენტო შემოსავალი		-
საპროცენტო ხარჯი (-)		(276,659)
იჯარის ხარჯი (-)		(68,171)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	6	(300,979)

სულ საოპერაციო ხარჯები	(1,159,212)
საოპერაციო მოგება	(249,997)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები (-)	-
მარაგები (-)	-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	65,197
მიღებული დივიდენდები	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(184,800)
მოგების გადასახადი (-)	-
მოგება/(ზარალი)	(184,800)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(184,800)
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(192,377)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(184,800)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(377,177)

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2018 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(128,929)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(135,176)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(64,398)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(328,503)
სავალუტო კურსის ეფექტი	65,197
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	387,805
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	124,498

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფალავანი“ (ს/ნ 217886562) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 1996 წლის 23 სექტემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, გორი, შინდის გზატ. №19. და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ახმეტა, სოფ ქისტაური .

შპს „ფალავანი“-ს მესაკუთრეები არიან: 1) მერი ქიბროწაშვილი (პ/ნ 65002000200) - 40%; 2) ირაკლი კოტეტიშვილი (პ/ნ 01024002965) – 10%; 3) შპს „თეთრი კუნძული“ (ს/ნ 1157847392482, რუსეთის ფედერაცია) – 25%; 4) შპს „გრადნ გურმე“ (ს/ნ 7842509000, რუსეთის ფედერაცია) – 25%. კომპანიის დირექტორი არის გიორგი ფოჩხიძე (პ/ნ 01024010625). კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ღვინის წარმოება ყურძნისაგან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშვება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის

განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

ძირითადი საშუალებების დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	20%
არამატერიალური აქტივები	4%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

	2018 წელი
	ლარი
შემოსავალი მზა-პროდუქციის მიწოდებიდან	1,799,843
შემოსავალი დაუმთავრებელი წარმოების მიწოდებიდან	497,301
შემოსავალი საწარმოო მასალების მიწოდებიდან	8,119
შემოსავალი ჩამოსხმისა და შეფუთვის მომსახურებიდან	87,037
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	11,495
	2,403,795

4. გადამუშავების დანახარჯები

	<u>2018 წელი</u> ლარი
შრომის ანაზღაურების ხარჯი	62,900
ელ. ენერგიის ხარჯი	1,670
	<u>64,570</u>

5. სხვა შემოსავალი

	<u>2018 წელი</u> ლარი
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	4,610
	<u>4,610</u>

6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	<u>2018 წელი</u> ლარი
შეფუთვისა და ჩამოსხმის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	73,718
ტრანსპორტირების ხარჯი	15,827
ღვინის ანალიზის ხარჯი	5,349
დეგუსტაციის სერთიფიკატების ხარჯი	3,895
დიზაინერული მომსახურების ხარჯი	35,825
საწვავის ხარჯი	26,285
ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯი	8,327
მივლინების ხარჯი	12,003
ელ. ენერგიის ხარჯი	9,579
ბუნებრივი აირის ხარჯი	1,493
კომუნიკაციის ხარჯი	1,633
სამეურნეო ხარჯი	11,761
საოფისე ხარჯი	2,449
საკანცელარიო ხარჯი	2,167
იურიდიული მომსახურების ხარჯი	2,752
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	6,356
სხვა მომსახურების ხარჯი	14,491
ბანკის მომსახურების ხარჯი	6,872
წარმომადგენლობითი ხარჯი	24,544
საქველმოქმედო ხარჯი	625
საგადასახადო ხარჯი	27,028
სხვა ხარჯი	8,000

300,979

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	59,241	239,299
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	10,096	8,293
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	55,161	140,213
	<u>124,498</u>	<u>387,805</u>

8. სავაჭრო მოთხოვნები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
მოთხოვნები რეზიდენტი საწარმოების მიმართ	449,705	184,377
მოთხოვნები არარეზიდენტი საწარმოების მიმართ	275,280	255,882
	<u>724,985</u>	<u>440,259</u>

9. მარაგები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
მზა-პროდუქცია	195,478	31,088
დაუმთავრებელი წარმოება	1,345,151	1,439,661
ნედლეული	4,832	5,147
მასალები	204,717	146,426
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,621	1,345
	<u>1,751,799</u>	<u>1,623,667</u>

10. სხვა მიმდინარე აქტივები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
მოთხოვნები ანგარიშვალდ. პირის მიმართ	1,967	424
მოთხოვნები ანგარიშვალდ. პირის მიმართ	40,079	42,099

42,046

42,523

11. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრ შენიშვნა	შენიშვნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარ	ოფისის აღჭურვილობა/ ინვენტარი	სატრანსპ საშუალებ	არამატ. აქტივები	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება								
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	39,380	70,932	435,532	786,205	26,404	41,394	5,084	1,404,931
შემოსვლები	0	32,879	60,283	45,238	18,432	11,222	0	168,054
გასაღებები	0	45,480	0	267	0	0	0	45,747
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	39,380	58,329	495,815	831,176	44,836	52,616	5,084	1,527,236
ცვეთა/ამორტიზაცია								
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	0	0	153,913	443,940	17,835	10,227	2,184	628,099
ცვეთის დანარიცხი	0	0	14,082	72,579	5,102	6,816	70	98,649
გასვლები	0	0	0	216	0	0	0	216
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	0	167,995	516,303	22,937	17,043	2,254	726,532
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	39,380	58,329	327,820	314,873	21,899	31,167	2,830	796,298
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	39,380	70,932	281,619	342,265	8,569	35,573	2,900	781,238

12. სავაჭრო ვალდებულებები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
ვალდებულებები საქონლის მოწოდებიდან	414,694	299,004
ვალდებულებები მომსახურების მოწოდებიდან	40,818	(100)
	<u>455,512</u>	<u>298,904</u>

13. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

საკრედიტო ინსტიტუტი	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი, 2018 წ.	01 იანვარი 2018 წ.
მიმდინარე				
შპს „სოფმარი“	10 %	USD	74,945	72,582
ხალიკ ბანკი	7 %	USD	97,067	0
თიბისი ბანკი	9 %	USD	0	5,324
თიბისი ბანკი	9 %	USD	0	18,141
თიბისი ბანკი	11,5 %	GEL	0	68,545
ვითიბი ბანკი	15 %	GEL	36,465	0
ხალიკ ბანკი	7 %	USD	258,306	0
ხალიკ ბანკი	7 %	USD	133,410	0
ვითიბი ბანკი	11,5 %	GEL	0	500,000
ირაკლი კოტეტიშვილი	20%	GEL	572,000	572,000
ირაკლი კოტეტიშვილი	9%	USD	1,152,701	1,194,056
			<u>2,324,894</u>	<u>2,430,648</u>

14. სხვა ვალდებულებები

	<u>2018 წელი</u>	<u>2017 წელი</u>
	ლარი	ლარი
საპროცენტო ვალდებულებები	1,084,320	855,702
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	0	100
	<u>1,084,320</u>	<u>855,802</u>

15. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 01 იანვრისთვის შეადგენდა 75,814 ლარს და მას სრულად ფლობენ დამფუძნებლები.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 12 სექტემბერს.

შპს „ფალავანი“-ს

დირექტორი: გიორგი ფოჩხიძე

